დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, შპს კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მანჯგალაძე, შპს კავკასიის უნივერისტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Georgian language preparation educational program
უმაღლესი განათლების საფეხური	**მეოთხე დონე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**ქართული**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	-
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	-
ECTS კრედიტების რაოდენობა	**60 ECTS კრედიტი**
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 08.06.2020, N446515
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2013 წლიდან არსებობს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სამხატვრო აკადემიაში. პროგრამა შექმნილია დარგობრივი მახასიათებლის, აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მასში გათვალისწინებულია A და B ბლოკები პირველ სემესტრში სტუდენტთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით. სასწავლო კურსები სტუდენტს დაეხმარება, როგორც ინტერკულტურული, ისე ქართული კულტურული ღირებულებების გამომუშავებაში. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მიზნად არ ისახავს კვალიფიკაციის მინიჭებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №1264240 ბრძანების საფუძველზე, სსიპ- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შედგა ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაცია შემდეგი შემადგენლობით: თამარ ჩოკორაია (თავმჯდომარე), მარიამ მანჯგალაძე (წევრი), თინათინ გაბრიჩიძე (წევრი).

ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი ჩატარდა 2022 წლის 22 ნოემბერს. ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და თვითშეფასების ჯგუფს. ასევე ჩატარდა შეხვედრები მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებთან.

შეხვედრებზე განხილულ იქნა პროგრამის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები: აკადემიის მხრიდან არაქართულენოვანი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, სილაბუსების თემატიკა და ლიტერატურა, სტუდენტთა შეფასების მექანიზმები, პერსონალის მიღების წესი და სხვა საკითხები. ექსპერტებმა დაათვალიერეს აკადემიის ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ბაზები, აუდიტორიები და სხვა რესურსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეესაბამება თბილისის სამხატვრო აკადემიის მისიას, გაწერილია ლოგიკურად და ნათლად. პროგრამა არსებობს 2013 წლიდან და შედგენილია დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით. 2020 წელს განხორციელებული აკრედიტაციის შედეგად, პროგრაში შეტანილია გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, დაემატა დარგობრივი კურსი სამხატვრო

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე გამრავალფეროვნდა სტუდენთა დავალებების სახეობები.

აღნიშნული პროგრამა არაქართულენოვან სტუდენტებს დაეხმარება სამოქალაქო ინტეგრაციაში, რითაც გაიზრდება მათი წვლილი სახელოვნებო მიმართულებით სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, პროგრამა პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებს მეტწილად შეესაბამება, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტს - სრულად. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტებმა შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები

- დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შედეგები, ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მსგავსი შინაარსის მქონე ფორმულირებების ამოღება და გაერთიანება.
- გადაიხედოს სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობა, მაგ.: პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, GeoFL-ის სასწავლო მასალა (ქართულის, როგორც უცხო ენისთვის შექმნილი სასწავლო რესურსი) დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს.
- ხელი შეეწყოს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციას აკადემიაში და მათთვის ინფორმაციის სრულყოფილ გაზიარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ცნობადობის ასამაღლებლად გატარდეს რიგი ღონისძიებები, მაგ.: კონკრეტულ რეგიონებში წასვლა და ინფორმაციის გავრცელება.
- სასურველია, დარგის სპეციფიკაზე მორგებული სახელმძღვანელოს (რიდერის) შექმნა.
- უმჯობესია, პროგრამის ხელმძღვანელი იყოს დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი და ასევე გაიაროს შესაბამისი ტრენინგები ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

დაწესებულებამ გაიზიარა ყველა რეკომენდაცია და რჩევა. მათი აზრით, ექსპერტებმა კომპეტენტური და განმავითარებელი შეფასება შეიმუშავეს.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიანი პროგრამა შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამა სტუდენტებს ხელს უწყობს ენობრივი კომეპტენციის გაუმჯობესებაში, რათა მათ შეძლონ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. ასევე უვითარებს მათ ინტერკულტურულ კომპეტენციას სახელმწიფოში ინტეგრაციისათვის.
პროგრამის მიზნები გაწერილია ლოგიკურად და შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებელს. კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განუვითარებს ენობრივ კომპეტენციებს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებით B2 დონეზე; სტუდენტი ასევე შეძლებს ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელებს საბაკალავრო პროგრამაზე სასურველი მიმართულებით; იგი მიიღებს ცოდნას საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ; პროგრამა აგრეთვე დაეხმარება თავი იგრძნოს მოქალაქედ, რომელიც სრულფასოვნად მონაწილეობს სახელმწიფოს ცხოვრებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა მისია;
- თსსა განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თსსა ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	●	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს. აერთიანებს დისციპლინით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას. კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ექნება ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციები, რაც დაეხმარება სხვადასხვა სიტუაციასა და აუდიტორიასთან კომუნიკაციაში. ასევე გაეცნობა საქართველოს ისტორიასა და სოციოკულტურულ თავისებურებებს. სტუდენტს ექნება უნარი სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგებისა, თარგმნისა და ანალიზის. ასევე პასუხისმგებლობა ქართულის ენის სათანადოდ (B2 დონეზე) ცოდნის, რათა შეძლოს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და პროფესიის დაუფლება.

პროგრამა პირველ სემესტრში დაყოფილია ბლოკებად, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა საწყის ენობრივ კომპეტენციებს. პრეტესტის შედეგად განისაზღვრება თუ რომელი ბლოკის სასწავლო კურსებს გაივლის სტუდენტი. პროგრამის შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, გაზომვადია, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მათი დაზუსტება და გაერთიანება, სადაც შინაარსით მსგავსი ფორმულირებები ფარავს ფარავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- პროგრამის თვითშეფასება.

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შედეგები, ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მსგავსი შინაარსის მქონე ფორმულირებების ამოღება და გაერთიანება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	●	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა სწავლის შედეგების შეფასებისას ეყრდნობა ორ მეთოდს: პირდაპირსა და ე.წ. არაპირდაპირს. დაწესებულება პირდაპირ შეფასებაში მოიაზრებს სასწავლო კურსებით განსაზღვრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდას. ე.წ. არაპირდაპირ შეფასებაში კი განიხილება: კურსდამთავრებულთა დასაქმების ან/და თვითდასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთა შეფასება, კარიერული წინსვლის მაჩვენებელი და სხვ. პროგრამის შემუშავების პროცესში წინასწარ განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები, რომელთაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადარებს მიღწეულ შედეგებთან. შედარების შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამაში განხორციელდეს ცვლილება.
სტუდენტთა შეფასებებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დადგინდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების ხარისხი, სტუდენტების მომზადების დონე, შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა და შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. ასევე ტარდება სტუდენტებისა და აკადემიური კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგებიც ანალიზდება სტუდენტთა შეფასებებთან კორელაციაში. აღნიშნული კვლევის შედეგებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც განიხილავს რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. განსახორციელებელ ცვლილებებში იგულისხმება: სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების მეთოდის/ფორმატის ცვლილება, სასწავლო მასალის მოცულობის კორექცია, პედაგოგიური პერსონალის განახლება და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სტრუქტურა
- სამიზნე ნიშნულები;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	●	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **ქართულ ენაში**

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ - სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება. პროგრამა იმგვარადაა შედგენილი, რომ ხელს შეუწყობს სტუდენტებს ენობრივი პრობლემების გადალახვასა ქართული ენის შესწავლაში, კურსის დასრულების შემდეგ კი სტუდენტები ბუნებრივად ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და შეძლებენ სათანადო ცოდნის მიღებას.

თსსა სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ფორმებს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს, რომლის მიხედვითაც, თითოეული შეფასებისათვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს და ნაწილდება შემდეგნაირად: 25 ECTS კრედიტი ეთმობა ქართული ენის ასპექტებს - ლაპარაკი, მოსმენა, კითხვა, წერა; 5 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივი ენის სასწავლო კურსს; 10 ECTS კრედიტი - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის კურსი; 10 ECTS კრედიტი - ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა (1/2); 5 ECTS კრედიტი ეთმობა ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის სპეციფიურ კურსს - ქართული ენა სიტუაციურ გარემოში; 5 ECTS გაიცანი საქართველო.

პროგრამა 14 სილაბუსისგან შედგება და, რეალურად, ითვალისწინებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც სტანდარტის მიხედვითაა გათვალისწინებული. სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი შემდეგი კომპონენტები: სასწავლო სემესტრი, კრედიტების რაოდენობა, კურსზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, შედეგები და გამოყენებული მეთოდები, შეფასების სისტემა, 15 სასწავლო კვირაზე განაწილებული სასწავლო მასალა და თემები, სავალდებულო სახელმძღვანელოები და დამატებითი ლიტერატურა, ფინალური, შუალედური და სხვა აქტივობების შეფასებების სქემები.

პროგრამა გადამუშავდა და გაუმჯობესდა წინა აკრედიტაციის დროს მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე, შესაბამისად, დაემატა დარგობრივი ენა და გადამუშავდა პირველი სემესტრის პროგრამა, მეტი დრო დაეთმო ლექსიკის შესწავლის კომპონენტს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განახლდა შეფასების სისტემა, მაგ.: დაემატა პრეზენტაცია, საშ. დავალება, შესაბამისი ლიტერატურა / სახელმძღვანელოები...

შეიძლება ითქვას, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შედეგები შეესაბამება სწავლის შედეგებს და სტრუქტურა თანმიმდევრულია; პროგრამა არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად განვითარებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები - ადეკვატური; პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გადასახედია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შეთავაზება.

საერთო შეფასებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა);
- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები;

o თსსა–ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ცნობადობის ასამაღლებლად გატარდეს რიგი ღონისძიებები, მაგ.: კონკრეტულ რეგიონებში წასვლა და ინფორმაციის გავრცელება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	●	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან; თითოეული საგნისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამავე საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა დაცულია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამავე სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ყოველი სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება სათანადო სისტემით. სილაბუსებში გაწერილი თემატიკა, მეთოდები და ლიტერატურა ისეა

გაწერილი, რომ გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სირთულე და სპეციფიკა.
საბოლოო ჯამში თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო მასალა, თემატიკა და შედეგები ისეა გაწერილი, რომ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკები;
- ხელშეკრულებები საბიბლიოთეკო ბაზებთან.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობა, მაგ.: პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, GeoFL-ის სასწავლო მასალა (ქართულის, როგორც უცხო ენისთვის შექმნილი სასწავლო რესურსი) დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დარგის სპეციფიკაზე მორგებული სახელმძღვანელოს (რიდერის) შექმნაც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	●	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჩაბარების წინაპირობა გამჭვირვალეა და ეფუძნება ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესს. კერძოდ, საქართველოს მოქალაქემ უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტები (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა); ამრიგად, პროგრამაზე დაიშვებიან შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის პირები, რომლებიც მზად არიან დაძლიონ პროგრამით გათვალისიწინებული მიზნები და მიაღწიონ გაწერილ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების შესახებ კანონი (მუხლი 52.5);
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	●	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელოს მომდევნო, საბაკალავრო საფეხურზე. სტუდენტები როლური თამაშებისა და სიმულაციური მეთოდების დახმარებით შეძლებენ ახალი ცოდნის გადატანას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში, რაც მათ განუვითარებს ტრანსფერულ უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	●	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო კომპონენტები და აქტივობები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, საშინაო და სააუდიტორიო დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ქვიზი, ფინალური გამოცდა და სხვ. განსაზღვრულია სხვადასხვა სასწავლო მეთოდის (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა...). იყენებენ კომბინირებულ მეთოდოლოგიას, ხოლო თავად სტრატეგია და მეთოდი შერჩეულია სასწავლო ამოცანის შესაბამისად.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული მეთოდის არსი და დანიშნულება, რაც შესაბამისობაშია სტანდარტთან, რადგან პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, ინტერაქციას სწავლის პროცესში სათანადო ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით; მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე; სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინტერვიუს შედეგად დაზუსტდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	●	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხდება სამხატვრო აკადემიაში არსებული წესის შესაბამისად. სტუდენტთა შეფასება ხდება შემდეგი კოპონენტებით: დამოუკიდებელი მუშაობით, შუალედური და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, ხოლო კონკრეტული კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში. შეფასების ქულები და მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი სისტემა და მოქმედებს აკადემიაში დადგენილი რეგულაციები. საბოლოო შეფასება გულისხმობს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებათა ჯამს. აკადემიის რეგულაციების თანახმად, სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე თუ მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობა კონკრეტულ სასწავლო საგანში 50% ან მეტია. ხელახალ გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს იმ შემთხვევაში ეძლევა თუ მის მიერ, დასკვნითი გამოცდის ჩათვლით შეფასებების დაგროვილი ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია. პლაგიატის შემთხვევაში შეფასება არის ნული.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით

დამტკიცებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის "შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თსსა–ში მოქმედი ელექტრონული სისტემა (EMIS).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	●	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პროგრამაში ჩართული პირებისა და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ.

თსსა-ში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილნი არიან დაწესებულების მხრიდან გაწეული აკადემიური კონსულტაციებითა და მხარდაჭერით. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტებს ინდივიდუალური მიდგომებით სწავლის შესაძლებლობა აქვთ, რაც დადასტურდა როგორც სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად.

სამხატვრო აკადემიის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები ასევე კმაყოფილებას გამოხატავენ აკადემიის მხრიდან მხარდაჭერით, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან კონსულტირებითა და კურიკულუმსგარეშე აქტივობებით, რაც ადასტურებს აკადემიაში სტუდენტთა მხარდაჭერის დამკვიიდრებულ პრაქტიკას.

თუმცა, ასევე, გამოიკვეთა საჭიროება, აკადემიამ უფრო მეტად შეუწყოს ხელი ქართულ ენაში მომზადების პროგრამისა და აკადემიის სხვა პროგრამების სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას და ქართულ ენაში მომზადების პროგრამების სტუდენტების აკადემიაში ინტეგრირებას.

კერძოდ, მნიშვნელოვანია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტების მეტი მხარდაჭერა კურიკულუმსგარე აქტივობებში მონაწილეობისთვის და ინფორმაციის გაზიარების ეფექტურობის გაუმჯობესება სხვადასხვა შესაძლებლობაზე, მათ შორის, გაცვლით პროგრამებსა და გამოფენებზე.

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა პროგრამის და მისი სტუდენტების მიმართ. პროგრამა ხორციელდება მასზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად, რაც ადასტურებს აკადემიისთვის პროგრამისა და სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ხელი შეეწყოს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციას აკადემიაში და მათთვის ინფორმაციის სრულყოფილ გაზიარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	●	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კვლევის გამოცდილება, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით სამეცნიერო გამოცემებში. პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც დაწესებულების მოწვეული პერსონალია, ფლობს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, თუმცა ლიტერატურის მიმართულებით. მისი სამეცნიერო პუბლიკაციების ინტერესების სფეროც ლიტერატურისა და განათლების მიმართულებითაა წარმოდგენილი. პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე, უმჯობესია პროგრამის ხელმძღვანელი იყოს დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი და სასურველია ასევე გაიაროს შესაბამისი ტრენინგები ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში.

პროგრამების სტუდენტები, თსსა–ს მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. თსსა აკადემიური პესონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, თითოეულ სილაბუსში მითითებულია კონსულტაციის საათები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			**დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**[7]	
სულ აკადემიური პერსონალი				**0**
- პროფესორი	0	-	-	
- ასოცირებული პროფესორი	0	-	-	
- ასისტენტ-პროფესორი	0	-	-	
- ასისტენტი	0	-	-	
მოწვეული პერსონალი	5	5	5	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV–ები;
- პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესია პროგრამის ხელმძღვანელი იყოს დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი და ასევე გაიაროს შესაბამისი ტრენინგები ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	●	☐	☐

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას და აანალიზებს ამ კვლევის შედეგებს; ამისათვის თსსა სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია ყოველწლიურად შესავსები ანგარიშის ფორმა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ავსებს ფორმას, რის შედეგედაც ხდება სამეცნიერო შედეგების ანალიზი. აღნიშნული საშუალებას იძლევა შეფასდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობა. პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება აკადემიაში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.
თსსა საჭიროების შემთხვევაში ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით. მათ შორის: სამეცნიერო ბაზების გამოყენების, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების შესახებ, ასევე ინგლისური ენის გაუმჯობესების მიზნით. თსსა ასევე ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის, მათ შორის მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში; საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის/შეფასების მეთოდების ეფექტურად გამოყენების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	●	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო დაწესებულებას აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები; ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა და ა. შ.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო წიგნადი ფონდი, მისი ელექტრონული ვერსიები და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით.

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ. ქართულ ენაში სტუდენტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომელთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ბიბლიოთეკის თანამშრომელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	●	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ვერ ხერხდება საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დიდ ნაწილს აკადმია ფარავს საერთო ბიუჯეტიდან. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია,

აკადემიის მხრიდან კი მისი ფინანსური უზრუნველყოფა აკადემიის მხრიდან პროგრამის პრიორიტეტულობას ადასტურებს. აკადემიის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს ფართო საზოგადოებისთვის, რაც მისასალმებელია. მეტიც, აკადემიის ადმინისტრაცია და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გეგმავს გაზარდოს პროგრამის ცნობადობა, რომ ხელი შეუწყოს აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტუდენტების ინტერესის გაზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	●	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამხატვრო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილია როგორც უნივერსიტეტის, ასევე თითოეული ფაკულტეტის დონეზე. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი განვითარების ანალიზის პროცესს, რაც ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობით. აკადემიაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. თსსა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზანი, თსსა-ში მიმდინარე პროცესების განვითარებასთან ერთად, ხარისხის კულტურის განვითარებაზე ზრუნვაა.

აკადემიაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია შესაბამისი რეგულაციები, ინსტრუმენტები და ფორმები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესის თუ კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განვითარების მიზნით.

შიდა ხარისხის შეფასების პროცესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, სილაბუსების შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა სისტემატურ გამოკითხვებს, შედეგების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრას. სტუდენტთა გამოკითხვა მიმდინარეობს ელექტრონულ ფორმატში თსსა ელექტრონული ბაზის მეშვეობით. ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ და დამტკიცების შემდეგ მათი შესრულება სავალდებულო ხდება. რეკომენდაციების შესრულებას მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ინტერვიუების შედეგად, დადასტურდა ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებისა და

რჩევების საფუძველზე პროგრამა და მისი ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები განიცდიდა მოდიფიცირებას.

ელექტრონული/ჰიბრიდული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შესაბამისი რეგულაციები და ინსტრუმენტები და ახდენდა ელექტრონული/ჰიბრიდული სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერას პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შეფასების ფორმა;
- მრგვალი მაგიდის ოქმი;
- თსსა საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა;
- აკადემიური პერსონალის სატრენინგო საჭიროებების კითხვარი;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კითხვარი;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.1 შიდა ხარისხის შეფასება	●	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმია პროგრამის აკრედიტაცია და აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

გარდა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისა, გარე შეფასებისთვის გამოიყენება კოლეგიური გარე შეფასება საქართველოსა თუ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან/და კვლევითი ცენტრების შესაბამისი დარგის ექსპერტების შეფასება. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გარე შეფასება განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორმა. გარე შეფასება გამოყენებულ იქნა პროგრამის დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- გარე შეფასება

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება	●	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა-ში შემუშავებული და დანერგილია საგანმანათლელბო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტები, რომელიც გამოიყენება პერიოდულად პროგრამის ხარისხის შეფასებისთვის, შედეგების შედეგად კი პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აკადემიას ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ფუქნცია კარგად არის დანერგილი და უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხის სრულყოფილ შეფასებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

პროგრამაზე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობიდან გამომდინარე პროგრამის ხარისხის შეფასება დიფერენცირებულ მიდგომებს და ასევე, უფრო მეტად არაფორმალურ და პირად კომუნიკაციას საჭიროებდა, რაც, დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა. მაგალითისთვის, დაიგეგმა და განხორციელდა დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში პროგრამის სტუდენტთან. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს აკადემიაში მოქნილი და მიზანთან შესაბამისი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის არსებობას.

პროგრამის კონტინგენტიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს აკადემიის პოზიციას, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების მიზნით, პირადი კომუნიკაცია ბევრად უფრო ინფორმატიულია, ვიდრე რაოდენობრივი გამოკითხვა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ინსტრუმენტები დანერგილია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მრგვალი მაგიდის ოქმი;
- ინტერვიუების შედეგები;
- თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	●	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	●	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	●	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	●	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	●	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	●	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თამარ ჩოკორაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

მარიამ მანჯგალაძე

თინათინ გაბრიჩიძე